ესსეი ითვლისწინ პრიცელი ჯონეს

287 ფონდი 1 აღწ. № 72

287 ფონდი 1 აღწ. № 72

ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი

დასკანირებულია 14.01.2025 20

ლიტერატურული საქართველო, 1971, 25 ივნ. 1

„ლიტერატურული საქართველოს“ 1965 წლის 10 სექტემბრის ნომერში დაიბეჭდა ა. ლომიძის, მ. შენგელაიას, მ. ჩხეტიას, ა. თოფურიას კოლექტიური წერილი სათაურით „პოეტის ოცნება ხორცშესხმას ელის“, სადაც ლაპარაკი იყო იმის შესახებ, რომ „მალთაყვა — შავი ზღვისპირის ეს ოქროს ნაპირი — ჯერ კიდევ ვერ იქცა გულით ავადმყოფთა და ბავშვთა ნამდვილ აგარაკად“, რომ პოეტ პაოლო იაშვილის ოცნება, რომლითაც მალთაყვა მას „უახლოეს დღეთა მშვენებად“ ესახებოდა, ხორცშეუსხმელი დარჩა.

ზემოთ დასახელებული წერილის ერთ-ერთი ავტორი აკაკი თოფურია ეწვია მალთაყვას და ხუთი წლის შემდეგ იქ მომხდარი ცვლილებები და მისი განვითარების პერსპექტივები ასახა თავის ნარკვევში.

●

მალთაყვა, უახლოეს დღეთა მშვენება

ის იდგა ალბათ ამ პატარა, ხრიოკ ბორცვზე და აღფრთოვანებული გასცქეროდა წუნარ ამინდში მზეზე მოლივლივე ზღვის ლურჯ ტალღებს, ქვიშიან ნაპირებს, ძეძვით, ჭოლითა და ლაქაშებით დაფარულ მინდვრებს, პალიასტომისკენ მწვანე ზოლად გაწოლილ უღრან ტყეს, კაპარჭინის მდორე დინებას.

რაღაც თავისებური, მაცოცხლებელი არის აქაური ჰაერი, ეს მუდრო ადგილი და ნათლად წარმომიდგება როგორი აღტაცებით წარმოთქვამდა მალთაყვის პირველი მომღერალი პოეტი პაოლო იაშვილი:

აი, პირველი საძირკველის
აღმოშენება,
აი, მალთაყვა, უახლოეს დღეთა
მშვენება!..

მეცენატები...

მაგრამ მალთაყვას პოეტ პაოლო იაშვილის გარდა ჰყავდა თავისი მეცენატები, სამედიცინო დარგის ღვაწლმოსილი მუშაკები, რომლებიც ათეული წლობით აკვირდებოდნენ და იკვლევდნენ მის სამკურნალო-საკურორტო თვისებებს; ასეთები იყვნენ ნიკო ნიკოლაძის დროიდან ფოთში სახელგანთქმული ექიმები კოწია მიქაბერიძე, არმენაკ თოურჭიანი და სხვ. სამუშაო საათების შემდეგ ფოთიდან ხან ფეხით და ხან ეტლით დადიოდნენ აქ, რათა უანგაროდ ეწარმოებინათ „დია ექსპერიმენტები“ ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ. ა. თოურჭიანს თავის სიცოცხლეში გამოუქვეყნებელი დარჩა ხანგრძლივი დაკვირვებების შედეგად დაწერილი განმაზოგადებელი ხასიათის სპეციალური შრომა სახელწოდებით — „მალთაყვა — მომავალი კურორტი“.

1930-იანი წლებიდან მალთაყვისადმი დიდ ინტერესს იჩენდა იმ ხანებში ახლადშექმნილი კოლხეთმშენი, რომლის გენერალურ დაგეგმარებაში მნიშვნელოვანი ადგილი ჰქონდა დათმობილი მალთაყვის დაჭაობებული ზოლის ამოშრობისა და საკურორტო მშენებლობის საკითხს. ამას მოწმობდა თუნდაც ის, რომ ცენტრალურ ტერიტორიაზე აშენდა აგურის ორი სახლი და მათში ბავშვთა პირველი საზაფხულო ბანაკი მოეწყო.

მაგრამ სამამულო ომმა ხელი შეუშალა მშენებლობას. მალთაყვა კი მაინც განაგრძობდა თავის „სასწაულმოქმედებას“ გულით დაავადებულ ავადმყოფებზე.

ერთი შემთხვევა მინდა გიამბოთ. 1964 წელს მალთაყვაში ყოფნისას (იმ ხანებში მეც გული მაწუხებდა) შევხვდი ერთ უფერულ, გამხდარ, თორმეტ-ცამეტი წლის ბავშვს, რომელსაც ეტყობოდა, დიდხანს იყო ლოგინს მიჯაჭვული. მისი ვინაობა მალე გავიგე. მშობლებს ფოთში თავიანთი სახლ-კარი მიეტოვებინათ და შვილის გადასარჩენად მალთაყვაში გადმოსულიყვნენ საცხოვრებლად. იმ ხანებში ჯერ კიდევ მოუწყობელ ტურბაზაში სამსახურიც ეშოვნათ და ზამთარ-ზაფხულს აქ ატარებდნენ.

—„სად არ გვყავდა, რა წამლები არ ვასვით, რა ადგილი არ გამოვუცვალეთ, — მიამბობდა შემდეგ დედამისი, — მაგრამ არ იქნა და საშველი არ დაადგა. გულის ქრონიკული მანკი ადრიდანვე განუვითარდა და ზეზეურად ჩამოგვიხმა შვილი. ბოლოს გვირჩიეს აქ გადმოვსულიყავით. როგორ ვიფიქრებდი, რომ ფოთის ყურის ძირში ასეთი უებარი „წამალი“ არსებობდა, ჰაერის ბუნებრივი წამალი. მესამე წელია აქ ვართ და ბავშვი უკვე ფეხზე წამოდგა“.

მერე მე ყოველ ზაფხულს ჩავდიოდი მალთაყვაში და ვხედავდი, როგორ საოცრად შეიცვალა ბიჭი. 1967 წელს იგი ვეღარც კი ვიცანი. წელს რომ ჩავედი, უკვე აღარ დამხვდა, სრულიად გამოჯანსაღებული, საბჭოთა არმიის რიგებში გაეწვიათ.

იმ პატარა ბიჭთან ერთად მეც განმკურნა მალთაყვამ.

ღამეული ხედი.

გრიგოლეთიდან საავტომობილო ტრასით შეხვალთ ფოთის სამხრეთ ჭიშკარში თუ ბოგვერაძის კუნძულიდან კატარღით, სულ ერთია, სადამოს ბინდბუნდში თქვენ შორიდანვე შეამჩნევთ ელექტროლამპიონებით გაჩირაღდნებულ მთელ ზოლს, რომელიც კაპარჭინის ნავმისადგომიდან საქალაქო პლაჟამდე გასდევს. ეს მალთაყვის დღევანდელი ღამეული ხედია. ჯერჯერობით მას მხოლოდ ერთი ზოლი უკავია, რომელსაც რესპუბლიკური ტურისტული ბაზისა და ფოთის თევზკომბინატის მუშამოსამსახურეთა დასასვენებელი სახლის ერთმანეთთან ახლო მდებარე ტერიტორია ქმნის.

ხუთი წლის წინათ აქ ღამე ისევე იყო ჩაბნელებული, როგორც გრიგოლეთში. იმ ხანებში ტურბაზა სულს ძლივს ღაფავდა. ახლა კი 80-ზე მეტი ფინური სახლი მწკრივებად ისეა ჩადგმული, რომ „პატარა ქალაქს“ მოგაგონებთ. ახლახან დამთავრდა კლუბის მშენებლობა. ამ ტურისტულ ბაზას ახლა სათავეში უდგას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფოთის ვ. გუნიას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის უფროსი დირექტორი ს. კალანდარიშვილი. მალთაყვის ტურბაზაში ყოველწლიურად ახლა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან 700-800 დამსვენებელი ჩამოდის, წინანდელი 50-100-ის ნაცვლად. ესე იგი, ხუთი წლის განმავლობაში დამსვენებელთა რიცხვი თითქმის 7-8-ჯერ გაიზარდა. რესპუბლიკურ ტურისტულ საბჭოს გადაწყვეტილი აქვს მალთაყვის ტურბაზისათვის ააგოს კაპიტალური ექვსართულიანი სახლი, რომლის მშენებლობის დაწყება მომავალ წლისთვისაა ნავარაუდევი.

მთლიანად იცვალა სახე მალთაყვის საქალაქო პლაჟმაც. პლაჟთან მისასვლელი გზა მოასფალტებული და მოკირწყლულია. პლაჟის ტერიტორიას არტყია რკინის ღობე. ეზოშია ერთი და ორადგილიანი კემპინგები, მზის საჩრდილობელი ქოლგები, ზღვის ველოსიპედები, ბავშვთა სათამაშო მოედანი და სხვ. ყოველივე ეს მალთაყვისადმი ფოთის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღების შედეგია.

პერსპექტივა, რეალური გეგმა

— უველაზე რთულ უბანს მალთაყვის საკურორტო მშენებლობაში, — გვეუბნება ქ. ფოთის მთავარი არქიტექტორი გალაქტიონ კუჭავა,— მისი ზღვისპირის დაჭაობებული ზოლი წარმოადგენს. არაერთხელ ვცადეთ ჩვენი შინარსურსებით ამ ზოლის ამოშრობა, მაგრამ სამუშაოთა მოცულობა იმდენად გრანდიოზულია, რომ ჩვენი ცდა ამაო გამოდგა. ამიტომ გადავწყვიტეთ, მთელი სანაპირო ტერიტორია დაგვენაწილებინა ცალკეულ ზონებად და თვითეული ზონისათვის „მესაკურორტედ“ მიგვეჩინა მსურველი საწუვეთო ორგანიზაცია. ასეთები კი ბევრი გვყავს. მათ დაეკისრებათ სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობა თავიანთი „კარმიდამოს“ განაშენებისა და მოვლა-პატრონობისათვის.

გალაქტიონ კუჭავამ გაგვაცნო მალთაყვის უახლოესი, პირველი რიგის განაშენიანების უკვე რეალურ ფაქტად ქცეული საინტერესო გეგმა. მალთაყვის საკურორტო ზონას სულ 140 ჰექტარი ფართობი უჭირავს. აქედან 62 ჰექტარზე ტყე-პარკია გაშენებული, რომლის ცენტრში შენდება საკურორტო ტიპის დიდი კაფე-რესტორანი. დანარჩენი ტერიტორიიდან მალთაყვის საუკუნოვან დატბორებულ ზოლზე მიწის ნაკვეთი გამოეყო სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, რომელიც აქ აშენებს 1000 ადგილიან რამდენიმე პანსიონატს და 500 ადგილიან სკოლა-ინტერნატს და 500 ადგილიან პიონერულ ბანაკს. ამ სამინისტროს უკვე გაშალა ფართო მოსამზადებელი სამუშაოები ფოთში საგანგებოდ შექმნილი სამშენებლო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით. მის მეზობლად სამუშაოთა ფრონტს გაშლის სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო, საქართველოს სსრ გეოლოგიის სამმართველო, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო, ზუგდიდის ქალალდის კომბინატი. ფოთის ჰიდრომექანიზმების ქარხანა...

მალე გაჩნდება მალთაყვაში პანსიონატების, დასასვენებელი სახლების, პიონერული ბანაკების ახალი კორპუსები, კეთილმოწყობილი უბნები, სკვერები და გაზონები, რომლებიც ტყეპარკის საერთო ანსამბლში მართლაც უახლოეს დღეთა მშვენებად გადაიქცევენ მას. დასახულია საქალაქო პლაჟის შემდგომი გაფართოებისა და კეთილმოწყობის გეგმა...

პოეტ პაოლო იაშვილის ოცნება დღეს ხორცშესხმას კი არ ელის, როგორც ამის შესახებ ვწერდით ხუთი წლის წინათ. იგი უკვე ხორცს ისხამს, მალთაყვა ფრთებს შლის და ჰორიზონტზე ჩნდება მისი ხვალინდელი მშვენიერი სახე.

*) გადმობეჭდილია გაზ. „ლიტერატურული საქართველო“-ს № 2-დან.

უმარი მათ მხოლოდ ეკრანებზე
, აბეზარა, მაია...
ელა აბაშიძე ნახეს. მორცხვად
ნ. სამუდამოდ დარჩება ნორ-
ფუთები.

ფოტო რ. ღვამიჩავასი.

ტ ე ლ ე ვ ი ზ ი ა

ხუთშაბათი, 25 მარტი

18.10 ბავშვებისათვის. მოკლემეტ-
აჟიანი ფილმი, 18.35 გადაცემა
ტექნიკის სამყაროში", 19.05 სა-
ელევიზიო მრავალსერიიანი დო-
მენტური ფილმი „ყრილობიდან—
ილობამდე". მეორე სერია (მოს-
ვიდან), 19.55 „ტყუ — ჩვენი
მდიდრე", 20.20 ციკლიდან „იდი-
მარად, ჩემო სამშობლოვ!" —
ხეთის რაიონი, 22.15 გადაცემა
ენრიხ მანი", 22.50 საქართველოს
რადი ტელევიზია. კონცერტი.

პარასკევი, 26 მარტი

18.15 „ცისარტყელა" — სატე-
ევიზიო ჟურნალი, 19.05 სატელე-
ზიო მრავალსერიიანი დოკუმენ-
ური ფილმი „ყრილობიდან — ყრი-
ობამდე". მესამე სერია (მოსკოვი-
ან), 19.55 გადაცემა „გადავაქციოთ
ცხოველეობა რენტაბელურ დარ-
ი", 20.20 „ვემზადოთ საბჭოთა
ვშირის ხალხთა სპარტაკიადისათ-
ს", 20.50 მხატვრული ფილმი „კო-
ონია ლანფიერი", 22.15 კონცერტი.

რჩენ გაზეთი

სახლი გადაარჩინეს

ამას წინათ იმერეთის ქუჩაზე, № 113 სახლში ხანძარი გაჩნდა. საფრთხე შეექმნა არამარტო ამ სახლს, არამედ ახლოს მდებარე სხვა შენობებსაც. მაგრამ, საბედნიეროდ, სახანძრო რაზმი დაუყოვნებლივ გაჩნდა შემთხვევის ადგილას და მედგრად შეებრძოლა ხანძარს.

ათმეთაურის ს. მიქელაძის, მეხანძრეების ო. დანელიას, ა. ჯღამაძის, ს. მილუშკინის, მძღოლების ვ. ხავანოვისა და უ. პონომარიოვის საზრიანი და ორგანიზებული მოქმედების შედეგად ხანძარს გავრცელების საშუალება არ მიეცა.

მამაცმა ადამიანებმა გადაარჩინეს № 113 სახლიც და მეზობლად მდებარე შენობებიც.

ს. კორტავა.

აღადგინეთ ხაზი

სამგზავრო ავტოსატრანსპორტო საწარმოს სადისპეტჩეროს ქალაქში შარშან როგორც იქნა დაუდგეს ტელეფონი. მაგრამ, სამწუხაროდ, მას დიდხანს არ უმუშავია. აგერ მეორე თვეა ვეჯებით კავშირგაბმულობის კვანძის ტექნიკურ განყოფილებას. მაგრამ საქმეს დღემდე არ დაედგა საშველი.

ტელეფონის ხაზი დაუყოვნებლივ უნდა აღვადგინოთ. ეს აუცილებელია სადისპეტჩეროს ნორმალური მუშაობისათვის.

ვ. კუპრეიშვილი,
ხაზის დისპეტჩერი.

დავიწყებული დაპირება

№ 6 მარშრუტის ავტობუსი მალანიას ქუჩით რიონის ბორანამდე უნდა მიდიოდეს. ავტობუსსაც ასეთი წარწერა აქვს: „ქალაქის მოედანი — ბორანი". მაგრამ სინამდვილეში ავტობუსი ბორანიდან ერთი კილომეტრის დაშორებით ჩერდება. სატრანსპორტო მომსახურების გარეშე რჩება სანაპიროს დასახლებული პუნქტი, დაახლოებით 30 კომლი, ფერადი ლითონების შემგროვებელი ბაზა, ფოთვაჭრობის დამხმარე მეურნეობა და სატყეო მეურნეობის უბანი.

განსაკუთრებით ცუდია ის, რომ მოსწავლეებს დიდი მანძილის გავლა უხდებათ ფეხით სანაპიროს დასახლებიდან სკოლამდე.

შარშან ავტოსატრანსპორტო საწარმოს ხელმძღვანელები დავპირდნენ ამ საქმის მოგვარებას. მაგრამ, როგორც ჩანს, მათ დავიწყებიათ თავიანთი სიტყვა.

ა. წულაია,
სოციალისტური შრომის გმირი.

ჩაის კვირეული

22-დან 29-მარტამდე მიმდინარეობს ჩაის კვირეული, რომელიც შეჯამდება კვირას, 28—მარტს — ჩაის დღეს.

ჩაის კვირეულისა და ჩაის დღის ზეიმში მონაწილეობენ: ფოთვაჭრობის რესტორნები: „კოლხეთი", „რიონი", დიეტური სასადილო, №№ 2,3, 4, 33, 34 სასადილოები, №№ 2, 94, 16, 21, 61 მაღაზიები.

28 მარტს ჩატარდება ჩაის დეგუსტაცია რესტორან „კოლხეთსა" და დიეტურ სასადილოში.

ძვირფასო მეგობრებო! გიწვევთ ქართული ჩაის ზეიმზე!

დღეს კინოებში

ქალაქის ფართოეკრანიან კინოთეატრ „რუსთაველში" ნაჩვენები იქნება ახალი მხატვრული ფილმი **„შავი კონსულის დაღუპვა"**; კინოთეატრ „კომკავშირელში" — **„ჯადოქარი"**.

სეანსების დასაწყისი „რუსთაველში" 3, 5, 7 და 9 საათზე; „კომკავშირელში" — 7 და 9 საათზე.

რედაქტორი აპ. ტიკარაძე.

ხი და გრიგოლ არჩაიები, ნინო
შუქური გუნიები თანაუგრძნო-
ვერა და გრიგოლ როყვებს დე-
ს **პოლინეს** გარდაცვალების გამო.

რა, ნინო, თამარ, ქეთო, ლენა,
რო, გივი, ილია გიგინავები ოჯა-
ით მწუხარებას გამოთქვამენ
ბა ხაინდრავა-გეგენავას გარდა-
ალების გამო და თანაუგრძნობენ
სვენებულის ოჯახს.

ლომილა და ერასტი შვილებით
გრიშა და რეზო, გუგუტათი, რძლე-
ბით ნუნუ, იზო, ლუბათი, შვილი-
შვილებით მაია, ვიტალი, ლუდა და
ნანათი ბუკიები იუწყებიან უახლო-
ესი ნათესავის **ტარასი ალმასხანაშ-
ძე ჩაჩიბაიას** გარდაცვალებას და
თანაუგრძნობენ განსვენებულის
ოჯახს.

ქარხანა „ფოთიელექტროაპარატის"
პერ. უბნის თანამშრომლები იზიარებენ მზეევინარ ტუღუშის და გია
შურდაიას მწუხარებას ბებიის **პო-
ლინეს** გარდაცვალების გამო.

მარქსის ქუჩის მცხოვრები ახლო
მეზობლები შ. ჟორჟოლიანი, ბ. კუ-
ტალია, ნ. შუბლაძე, კ. ბაბილუა,
ნ. ჭელიძე, ა. მაღლაკელიძე, კ. კვინ-
ჩია, ბ. ბეგლაროვი, კ. ჯამბურია, ა.

ძველი ბოლშევიკები პ. ქორქია,
ნ. ცაგარეიშვილი, პ. ოჯანიზოვი,
ს. ჭანტურია, ვ. სიხარულიძე, ი.
ფაჩულია, ა. არჩაია, დ. ფაჩულია,
ი. ფხაკაძე თანაუგრძნობენ მიხა ჩა-
ჩიბაიას ძმის **ტარასის** გარდაცვალების გამო.

ქრისტაფორე, ტიტიკო, გრიშა გუჯაბიძეები, შოთა ქეკელიძე, ჟორჟი, ვახტო კუპრაძეები ოჯახებით თანაუგრძნობენ ცუცა და გერმანე ტუღუშებს დედის **პოლინეს** გარდაცვალების გამო.

ლალა და მიტუშა კვიტაიშვილები, სირანუშა და შოთა, ლოლა და გუგული გუჯაბიძეები ოჯახებით მწუხარებას გამოთქვამენ ბიცოლა ჰ
ლინეს გარდაცვალების
თანაუგრძნობენ